

განცხადება წლიურ საგრანტო პროგრამაზე
053-3006-001-S-2018
პროექტი ზრდა საქართველოში (USAID/Zrda)

გამოქვეყნების თარიღი: 30 მაისი, 2018

პატივცემულო განმცხადებელო:

USAID-ის პროექტი ზრდა საქართველოში, რომელსაც ახორციელებს ქემონიქს ინტერნეიშენალი, აქვეყნებს საგრანტო განაცხადს ქვე-გრანტების განაცხადების კონკურსს ხილისა და ბოსტნეულის მცირე მოცულობის სამაცივრე მეურნეობების განვითარების მიზნით ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, სამეგრელო ზემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის, მცხეთა-მთიანეთის და კახეთის რეგიონების სამიზნე თემებში. (იხ.დანართი ბ – პროექტი Zrda-ს სამიზნე თემების/სოფლების ჩამონათვალი). პროექტი ითვალისწინებს ხილისა და ბოსტნეულის მცირე მოცულობის 15-მდე სამაცივრე მეურნეობის მოწყობას.

პროექტში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ აღნიშნული რეგიონების სამიზნე თემებში მცხოვრებ ფერმერებს, რომლებსაც აქვთ საგადასახადო რეგისტრაციის ნომერი, ან რეგისტრირებულ მცირე და საშუალო საწარმოებს, რომელთაც აქვთ სურვილი მოაწყონ ხილისა და ბოსტნეულის შესანახი სამაცივრე მეურნეობა და გაწიონ ფინანსური და არა ფინანსური (მუშა ხელი) თანამონაწილეობა. (თანამონაწილეობის ფორმატზე იხილეთ დეტალები ქემოთ); ქვე-გრანტები გაიცემა და განხორციელდება USAID-ის და აშშ მთავრობის იმ მარეგულირებელი ნორმების დაცვით, რომლებიც გამოიყენება ქვე-გრანტების კონტრაქტების დროს და ზრდა პროექტის ქვე-გრანტების გაცემის მართვის პოლიტიკის შესაბამისად.

განაცხადების წარმოდგენამდე, პროექტი ჩაატარებს საინფორმაციო შეხვედრებს ზრდა პროექტის რეგიონალურ ოფისებში შემდეგ მისამართზე:

19 ივნისი, 15:00 საათი:

თბილისი, ნინო რამიშვილის 1-ლი ჩიხი, N#9

19 ივნისი, 16:00 საათი:

ქ.ზუგდიდი ლალიძის ქ. N3;

19 ივნისი, 17:00 საათი:

ქ.გორი სტალინის ქ. N 27;

20 ივნისი, 16:00 საათი

მარნეული რუსთაველის ქ. N 48;

20 ივნისი, 17:00 საათი

ახალციხე გვარამიძის ქ. N 21

საინფორმაციო შეხვედრები საშუალებას მისცემს უფლებამოსილ განმცხადებლებს დასვან კითხვები პროექტის განაცხადის შესახებ და მიიღონ პასუხები და მითითებები იმაზე, თუ როგორ შეავსონ განაცხადის ფორმები. ასევე საგრანტო კონკურსის მიმდინარეობის პერიოდში, რომელიც გაგრძელდება **2019 წლის 30 მაისამდე**, განმცხადებელს ექნება შესაძლებლობა მიიღოს კონსულტაცია საგრანტო განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით ელექტრონულად, ამისათვის განმცხადებელმა უნდა გაუზიაროს შეკითხვა Zrda-ს გრანტების ჯგუფს ელექტრონულ მისამართზე: subawards@zrda.ge. პროექტი Zrda გაუწევს დახმარებას განმცხადებლებს განაცხადის წარდგენის პროცესის გათვითცნობიერებაში და ასევე შეუძლია გაუწიოს დახმარება განაცხადის შემუშავების პროცესში, განმცხადებელთა თხოვნის საფუძველზე.

პროექტის განაცხადს თან ახლავს შემდეგი დანართები:

- დანართი ა – ქვე-გრანტის განაცხადის ფორმა;
- დანართი ბ – Zrda პროექტის სამიზნე თემების/სოფლების ჩამონათვალი
- დანართი გ - პოტენციურ მომწოდებელთა სია
- დანართი დ - სპეციალური პირობები

ნაწილი I. პროგრამის აღწერა

ა. მიზანი:

USAID-ის ზრდა პროექტი საქართველოში აცხადებს საგრანტო კონკურსს და იწვევს ზრდა-ს სამიზნე თემებში რეგისტრირებულ ფერმერებს, რომელთაც აქვთ საგადასახადო რეგისტრაციის ნომერი, ან მცირე და საშუალო საწარმოებს რათა მათ წარმოადგინონ განაცხადი და დაფინანსების შემთხვევაში მოაწყონ ხილისა და ბოსტნეულის შესანახი მცირე სამაცივრე მეურნეობები.

საქართველოში ფერმერთა დიდი უმრავლესობას, რომლებიც ჩართულნი არიან ხილისა და ბოსტნეულის წარმოებაში აქვთ პრობლემები მოსავლის აღების შემდგომი პროცესების წარმართვაში, რაც ძირითადად უკავშირდება მოყვანილი მოსავლის დასაწყობება - შენახვას. ხშირ შემთხვევაში მოსავლის აღება ემთხვევა პერიოდს (მაგ. ივნისი-სექტემბერი), როცა ადგილობრივ ბაზარზე სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მიწოდება აჭარბებს მოთხოვნას, რაც თავის მხრივ იწვევს ბაზრის გაჯერებას და ფასების ვარდნას. პროექტი Zrda გეგმავს ხელი შეუწყოს მცირე სამაცივრე მეურნეობების განვითარებას. აღნიშნული ინიციატივა მისცემს ფერმერებს შესაძლებლობას, რომ გაახანგრძლივონ პროდუქციის შენახვის ვადა და ამ გზით

ფერმერებს მიეცეთ შესაძლებლობა ბაზარზე შეიტანონ პროდუქცია მაშინ, როცა ფასები მაღალია და შესაბამისად მიიღონ მაქსიმალური სარგებელი.

ბ. მოკლე მიმოხილვა

USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტი ზრდა არის ხუთწლიანი პროგრამა, რომელსაც ახორციელებს ქემონიქს ინთერნეიშენელი. იგი მიზნად ისახავს ადგილობრივი მოსახლეობის უნარ-ჩვევების, პროდუქტიულობისა და სავაჭრო კავშირების გაძლიერებას და სუსტი შინამეურნეობებიდან მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებზე გადასვლას, რათა მათ ხელი შეუწყონ ეკონომიკის სხვადასხვა სფეროების განვითარებას და მიზნობრივი თემებში მდგრადობისა და სტაბილურობის მიღწევას. პროექტი ზრდა გააძლიერებს მიკრო, საშუალო და მცირე საწარმოების განვითარებასა და ზრდას, გაზრდის სოფლის მოსახლეობის შესაძლებლობას მიიღონ შემოსავალი და ხელს შეუწყობს მეწარმეებსა და მყიდველებს შორის საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებას, რაც განამტკიცებს საბაზრო სისტემას. შედეგად, პროექტი ხელს შეუწყობს მიკრო, საშუალო და მცირე საწარმოებში სამუშაო ადგილების შექმნას და გაყიდვების გაზრდას, ხოლო შინამეურნეობებში- შემოსავლის გაზრდას, რაც დაეხმარება სამიზნე თემებში მდგრადობისა და ცხოვრების დონის ზრდას.

გ. პროგრამის აღწერა

საგრანტო პროექტის კონკურსის საფუძველზე პროექტი Zrda, შეარჩევს ფერმერებს Zrda პროექტის სამიზნე თემებიდან, რომლებიც დაინტერესებული არიან ხილისა და ბოსტნეულის მცირე (70-120მ3) სამაცივრე მეურნეობების მოწყობაში. შესაძლებელია, ფერმერმა მოაწყოს 120 მ3 მეტი მოცულობის სამაცივრე მეურნეობა, თუმცა ზრდა პროექტი სუბსიდირებას გაწევს მხოლოდ 120მ3 ფარგლებში. Zrda სუბსიდირებას გაუწევს შერჩეულ ბენეფიციარს ქვემოთ მითითებული სქემის და სპეციფიკაციების მიხედვით გთხოვთ გაითვალისწინოთ რომ სუბსიდირება ზრდა პროექტის მხრიდან გაიცემა მხოლოდ სამაცივრე მეურნეობების დასრულების შემდეგ:

#	სუბსიდირების პაკეტი	Zrda პროექტის სუბსიდირების ოდენობა 1 მ3 სამაცივრე მოცულობაზე
---	---------------------	--

1	<p>ხილისა და ბოსტნეულის შესანახი მაცივრის სპეციფიკაციები: - მაცივრის სამუშაო მოცულობა 70 - 120 მ3, ა) კედლები და ჭერი: 100 მმ სისქის პოლიურეთანის კედლის პანელები სიმკვრივე 36-42 მ3 ფარგლებში, ზედაპირი გალვანიზებული მეტალის სისქე არანაკლებ 0.4მმ. ბ) იატაკი - მოჭიმული ბეტონის იატაკი თბოიზოლაციის ფენით. მაცივრის აგრეგატი: კომპრესორი, კონდენსატორი გ) გადახურვა: გალვანიზირებული პროფნასტილი დ) სამაცივრე კარი პოლიურეთანის პანელისგან სისქე 100მმ ზომებით 1მX2მ. ე) სამაცივრე აგრეგატები გათვლილი მაცივრის სამუშაო მოცულობაში 0-4 ცელსიუსი ტემპერატურის უზრუნველსაყოფად: კომპრესორი, კონდენსატორი, ამორქლებელი, მართვის პულტი</p>	100 ლარი
2	<p>ხილისა და ბოსტნეულის შესანახი მაცივრის სპეციფიკაციები (შენობაში) მაცივრის სამუშაო მოცულობა 70 - 120 მ3, ა) კედლები და ჭერი: 50 მმ - 80 მმ სისქის პოლიურეთანის კედლის პანელები სიმკვრივე 36-42 მ3 ფარგლებში, ზედაპირი გალვანიზებული მეტალის სისქე არანაკლებ 0.4მმ. ბ) იატაკი - მოჭიმული ბეტონის იატაკი თბოიზოლაციის ფენით. გ) სამაცივრე კარი პოლიურეთანის პანელისგან ზომებით 1მX2მ. დ) სამაცივრე აგრეგატები გათვლილი მაცივრის სამუშაო მოცულობაში 0-4 ცელსიუსი ტემპერატურის უზრუნველსაყოფად: კომპრესორი, კონდენსატორი, ამორქლებელი, მართვის პულტი</p>	90 ლარი

Zrda პროექტი უზრუნველყოფს ტექნიკურ დახმარებას, კერძოდ, ტრენინგების პროგრამას და კონსულტაციებს სამაცივრე მეურნეობების ოპერირებასთან დაკავშირებით. ასევე Zrda პროექტი მიაწვდის ინფორმაციას ფერმერებს ავტორიზებული მომწოდებლების შესახებ. ფერმერს ასევე შეუძლია შეიძინოს მასალები სხვა მომწოდებელთან რომლის შეთანხმებაც მოხდება ზრდა პროექტთან წინასწარ.

შერჩეულმა ბენეფიციარმა სამაცივრე მეურნეობის მშენებლობისათვის საჭირო ფინანსური რესურსისათვის შეუძლია მიმართოს საფინანსო ინსტიტუტებს (კრისტალი, კრედო) ან სხვა საფინანსო ინსტიტუტს ბენეფიციარის შეხედულებიდან გამომდინარე, ასევე ბენეფიციარს დამატებითი დაფინანსებისათვის შეუძლია მიმართოს სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მოქნილობის პროექტს (AMMAR, (მისამართი: ახმეტელის 10 ა დილომი, კინოსტუდიის ეზო ტელ: 1501 / +995 032 2470101), დეტალური ინფორმაცია ფერმერებს მიეწოდებათ საინფორმაციო შეხვედრების დროს.

საგრანტო პროექტში შერჩეული ფერმერების პასუხისმგებლობა:

- ფერმერს უნდა ჰქონდეს მიწის ნაკვეთი საკუთრებაში სამაცივრე მეურნეობის მოსაწყობად, რომელსაც ექნება ელექტროენერჯის წყარო და საგზაო ინფრასტრუქტურა;
- წარმოადგინოს მასალების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- დაფაროს სამაცივრე მეურნეობის ოპერირებასთან დაკავშირებული ყველა საწარმოო ხარჯი.
- ფერმერს ეძლევა 4 თვე ხელშეკრულების ხელმოწერიდან, რათა მან დაასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები.

USAID-ის ზრდა პროექტი საქართველოში აღიარებს, რომ ზოგ პოტენციურ გრანტის მიმღებს შესაძლოა დასჭირდეს დახმარება, რათა უფრო ეფექტიანად განახორციელოს საქმიანობა. შესაბამისად, განმცხადებლებს მოვუწოდებთ დააფიქსირონ საკუთარი საჭიროებები ტექნიკური დახმარების მისაღებად ან ტრენინგის საჭიროება საკუთარ განაცხადებში.

II. ინფორმაცია წარდგენის შესახებ

განაცხადები წარდგენა უნდა განხორციელდეს ინგლისურად ან ქართულად.

განაცხადები უნდა იყოს წარმოდგენილი ელექტრონულად და/ან ამობეჭდილი ფორმით *USAID-ის ზრდა პროექტში* ქვემოთმოცემულ მისამართებზე და მინიშნებული უნდა იყოს **APS-ის ნომერი 053-3006-001-S-2018.**

USAID-ის ზრდა პროექტი მიიღებს განაცხადებს 2019 წლის 30 მაისის 18:00 საათამდე ადგილობრივი დროით ან სანამ არ ამოიწურება საგრანტო კონკურსისათვის გამოყოფილი თანხა. ამის შემდეგ წარმოდგენილი ან არაადექვატური განაცხადები არ იქნება განხილული.

პროექტის დასახელება: *USAID/Zrda პროექტი*

ქ.ზუგდიდი ლალიძის ქ. N3;

ქ.გორი სტალინის ქ. N 27;

მარნეული რუსთაველის ქ. N 48;

ახალციხე გვარამიძის ქ. N 21

თბილისი, ნინო რამიშვილის 1-ლი ჩიხი, N#9

ელ.ფოსტა: subawards@zrda.ge.

გარდა განაცხადების ფორმისა, განმცხადებლებმა *USAID-ს ზრდა პროექტში* უნდა წარმოადგინონ შემდეგი:

- მიწის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ინვოისები პოტენციური მომწოდებლებისაგან;
- ხელმოწერილი სპეციალური პირობები (დანართი დ)

კითხვებზე პასუხებს მიიღებთ მათი მიღების რიგითობის მიხედვით საწყისი თარიღის შემდეგ. USAID-ის ზრდა პროექტის კომპეტენტური თანამშრომლები სრულად და ამომწურავად მიაწვდიან ინფორმაციას განმცხადებლებს, ასევე, დახმარებას გაუწევენ განმცხადებლებს განაცხადის შემუშავებაში თხოვნის შესაბამისად.

ნაწილი III. განაცხადების შეფასება კრიტერიუმების მიხედვით

განაცხადს განიხილავს შიდა შეფასების კომისია, რომლის წევრებიც იქნებიან ზრდა პროექტის ტექნიკური თანამშრომლები; განაცხადი შემოწმდება ქვემოთმოცემულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით და ადგილზე ვიზიტისას ტექნიკური ჯგუფის მიერ მომზადრებული დასკვნის საფუძველზე.

შეფასების კატეგორია	შეფასება
1. ტექნიკური მიდგომა	30
ელ-ენერჯის და საგზაო ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა, საგრანტო განაცხადის სრულყოფილად წარმოდგენა.	30
2. დასაქმება	10
ბენეფიციართა/დასაქმებულთა სავარაუდო რაოდენობა	10
3. ხარჯთეფექტურობა	40
ფერმერის მხრიდან ფინანსური თანამონაწილეობა	30
ფერმერის მხრიდან არაფულადი თანამონაწილეობა	10
4. გამოცდილება	20
სამუშაო გამოცდილება სამაცივრე მეურნეობების ოპერირების კუთხით	20
სულ	100

ნაწილი IV. ინფორმაცია გრანტის მინიჭებისა და ადმინისტრირების შესახებ

ყველა ქვე-გრანტი ექვემდებარება მოლაპარაკებას და დენომინირებული და დაფინანსებული იქნება ქართულ ლარში.

ყველა ხარჯი, რომელიც დაფინანსდება გრანტით უნდა იყოს დასაშვები, გონივრული და ფაქტიური და შესაძლებელი უნდა იყოს მისი შემოწმება.

ამ დოკუმენტის გამოქვეყნება და დახმარება განაცხადების მომზადებაში არ წარმოადგენს გრანტს ან USAID -ის ზრდა პროექტის პირობას და ვალდებულებას და არ ავალდებულებს USAID -ის ზრდა პროექტს გადაიხადოს ხარჯები, რომლებიც ორგანიზაციამ/ფერმერმა გაწია განაცხადის მომზადებისა და წარდგენისთვის. ასევე, USAID -ის ზრდა პროექტი იტოვებს უფლებას მოიწონოს ან უარყოს ნებისმიერი ან ყველა განაცხადი და მოითხოვოს განმარტებები განაცხადების წარმომდგენებისგან.

დაურთეთ ყველა შესაბამისი დანართი

- დანართი ა – გრანტის განაცხადის ფორმა;
- დანართი ბ - დანართი მიწის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- დანართი გ – ინვოისები პოტენციური მომწოდებლებისაგან;
- დანართი დ - სპეციალური პირობები